

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის გავლენა ბიზნესებზე
საქართველოში

მარიამ რაქვიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ რაქვიაშვილი

24/04/2023

აბსტრაქტი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმს და დაინერგა სრულიად ახალი სისტემა, რომელიც გაუმჯობესებული და ეფექტური საგადასახადო გარემოს შექმნას ისახავს მიზნად. აქედან გამომდინარე, საკვლევ თემას წარმოადგენს მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დაბეგვრის მექანიზმის და მისი შედეგების კვლევა საქართველოში, კონკრეტულად კი საკითხი შესწავლილი და შეფასებული იქნა ბიზნესების ზრდის და განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

კვლევის ფარგლებში პასუხი გაეცა ძირითად საკვლევ კითხვებს, რომლებიც ეხმიანებოდა კვლევის ამოცანებს. ძირითადი ყურადღება კვლევის ფარგლებში გამახვილებული იქნა, მოგების გადასახადის ესტონური მოდელის რეფორმის გავლენის შეფასებაზე, რისთვისაც ერთ-ერთი ამოსავალი პირობა იყო, რომ კვლევაში მონაწილე რესპოდენტს, რომელიც წარმოადგენდა კონკრეტულ კომპანიას, ჰქონოდა ცოდნა და გამოცდილება მოგების გადასახადის ესტონურ მოდელთან დაკავშირებით. რესპოდენტებმა ისაუბრეს საკუთარი კომპანიის პრაქტიკულ გამოცდილებებზე და ქეისებზე, რის საფუძველზეც შეფასებულ იქნა რეფორმის გავლენა.

საკვლევ კითხვები, მიმართული იყო დაბეგვრის ახალი მექანიზმის შეფასებისკენ და საშუალებას იძლეოდა გამოკვეთილიყო მოდელის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტები. გამოიკვეთა ასევე ის მოლოდინები და შეფასებებიც, რაც რეფორმის მიმართ არსებობდა საწყის ეტაპზე და ასევე პრობლემური საკითხები ახალ საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ, რადგან საჭირო ინფორმაციის მისაღებად, მნიშვნელოვანი იყო საკითხის სიღრმისეული კვლევა და ანალიზი. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იმ კომპანიის წარმომადგენელმა, რომელიც უშუალოდ იყვნენ ჩართული რეფორმის განხორციელების და მათ კომპანიაში დანერგვის თითოეულ ეტაპზე.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს დარგის ექსპერტებმა და კვალიფიციურმა რესპოდენტებმა, შესაბამისად კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები სრულად ეფუძნება პრაქტიკულ გამოცდილებებსა და ცოდნებს. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რეფორმის მიმართ არსებული დამოკიდებულებები, რაც იძლევა რეფორმის გავლენის შეფასების შესაძლებლობას ბიზნეს სექტორზე.

კვლევის ფარგლებში პრაქტიკულ გამოცდილებებზე დაყრდნობით შესაძლოა რეფორმის გავლენის შეფასება ბიზნესების სტიმულირების მიმართულებით, კერძოდ, რესპოდენტთა ცოდნებსა და გამოცდილებებს თუ დავეყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რეფორმა საქართველოში წარმოადგენს მასტიმულირებელ ფაქტორს ინვესტირებისა და რეინვესტირების მიმართულებით, როდესაც ბიზნესს გააჩნია გრძელვადიანი პერსპექტივები და ორიენტირებულია ზრდა-განვითარებაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოგების გადასახადის რეფორმით მიღებული ეფექტები ესტონეთში გაცილებით თვალშისაცემია ვიდრე საქართველოში და რომ ესტონური მოდელი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვნად წახალისებას, რამდენადაც ამ საგადასახადო მოდელის წარმატება დამოკიდებულია იმ გარემო პირობების შექმნაზე, რომლებიც თავისთავად, აუცილებელია ეკონომიკური განვითარების მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, საგადასახადო პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, საგადასახადო რეფორმა, ნაერთი ბიუჯეტი.

Abstract

Since January 1, 2017, significant changes have been made to the profit tax taxation regime in Georgia and a new system has been introduced, which is improved and improved mechanisms are aimed at creating a tax environment. Therefore, research studies present the taxation mechanism of the Estonian model of taxation and its consequences, specifically studying and evaluating business creation and promotion of development.

Within the framework of the study, the main research questions that corresponded to the research objectives were answered. The main focus within the research was focused on evaluating the impact of the reform of the Estonian model of profit tax, for which one of the starting conditions was that the respondent participating in the research, who represented a specific company, had knowledge and experience regarding the Estonian model of profit tax. The respondents talked about the practical experiences and cases of their own company, on the basis of which the impact of the reform was evaluated.

The research questions were aimed at evaluating the new taxation mechanism and allowed highlighting both positive and negative aspects of the model. The expectations and evaluations that existed in the initial stage of the reform, as well as problematic issues related to the new tax regime, were also highlighted.

A qualitative research method was used within the framework of the research, in particular, an in-depth interview was conducted, because in-depth research and analysis of the issue was important to obtain the necessary information. The representative of the company, who were directly involved in each stage of the reform implementation and implementation in their company, participated in the research

Field experts and qualified respondents took part in the research, therefore the results, conclusions and recommendations obtained within the framework of the research are fully based on practical experience and knowledge. Within the framework of the research, the

existing attitudes towards the reform were identified, which gives an opportunity to evaluate the impact of the reform on the business sector.

Based on practical experiences within the scope of the research, it is possible to evaluate the impact of the reform in the direction of stimulating businesses, in particular, if we rely on the knowledge and experience of the respondents, it can be said that the reform in Georgia is a stimulating factor in the direction of investment and reinvestment, when the business has long-term perspectives and is focused on growth and development. However, it should be noted that the effects of the profit tax reform in Estonia are much more visible than in Georgia and that the Estonian model alone will not be able to significantly stimulate economic growth, as the success of this tax model depends on the creation of environmental conditions that are necessary for economic development.

Key words: Estonian model of profit tax, tax policy, investment environment, tax reform., Consolidated budget.